ბრძანება:**ბ34.34220537**

თარიღი:**22/02/2022**

მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ფარგლებში, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ფარგლებში, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა)ჯგუფის ხელმძღვანელი: **მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, თამაზ ფოლოდაშვილი.** ჯგუფის ხელმძღვანელი ახორციელებს სამუშაო პროცესის საერთო ხელმძღვანელობას, მასვე ეკისრება მერთან ანგარიშგების ვალდებულება;

ბ)სამუშაო ჯგუფის წევრები:

ბ.ა)**მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -გიორგი კვახაძე.** უზრუნველყოფს საკრებულოს წევრების ინფორმირებას ჯგუფის საქმიანობის შესახებ და საკრებულოს წევრების ჩართვას პროგრამის განხორციელების პროცესში;

ბ.ბ**)მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ჯიქია;**

ბ.გ)**მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გელა ბაქრაძე;**

ბ.დ)**მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ზაქარია ლოხიშვილი;**

ბ.ე)**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ნუგზარ ხუხუნაიშვილი** - კოორდინაციას უწევს მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავებას, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირებას დასახლებების მიხედვით, საპროექტო წინადადებების განხილვას, წინადადებების/რეკომენდაციების და საკრებულოში წარსადგენი საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადებას;

ბ.ვ)**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, შოთა აბაშვილი** - უზურნველყოფს მოქალაქეთა ინფორმირებას პროგრამის განხორციელების შესახებ, აგრეთვე მათ კონსულტაციას და შეხვედრების ორგანიზებას; პროგრამის ფარგლებში შეიმუშავებს წინადადებებს/რეკომენდაციებს;

ბ.ზ)**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ანა მამაგეიშვილი -**

უზრუნველყოფს მერის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევას, სამუშაო ჯგუფის ოქმის წარმოებას;

ბ.თ)**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ილია ციციშვილი** - უზრუნველყოფს საჭირო თანხების მობილიზების და მუნიციპალიტეტის ბიჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების თაობაზე წინადადების მომზადებას;

ბ.ი)**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ქეთინო ლიპარტელიანი -** უზრუნველყოფს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე ინფორმაციის პროაქტულად გამოქვეყნებას, მოსახლეობის ინფორმირებას მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერას საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისთვის.

ბ.კ**)მერის წარმომადგენელი ქალაქ მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ილია ჯიშკარიანი;**

2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს "მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ფარგლებში, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 03 თებერვლის #ბ34.342103412 ბრძანება.

3.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

4..ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი